საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 66 „03" ივნისი 2016 წ.

შ.პ.ს „ზუგდიდის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანება"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის (სამსახურის) უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ზაალ ლომთაძის მოხსენებითი ბარათის და შ.პ.ს. „ზუგდიდის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს. „ზუგდიდის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანება"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია შემდეგ სახეობაზე: მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენება, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს. „ზუგდიდის რაიონის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას“.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ხეთაგური